# 9 მაისი გამარჯვების დღეა!

ეროვნული ბიბლიოთეკა



დღეს საბჭოთა ხალხი ზეიმობს დიდ სამამულო ომში ჩვენი ქვეყნის ძლევამოსილ გამარჯვებას!

•

საბრძოლო სტრატეგიული რაკეტები წითელ მოედანზე.

ფოტო ვ. ეგოროვისა და ვ. სავოსტიანოვისა (საკდესი).


პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 90 (3574)

1968 წ. 9 მაისი, ხუთშაბათი, ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 24-ე წელი.


## საქართველოს სპორტკავშირი — პირველ ადგილზე

სასიხარულო ცნობა მოვიდა მოსკოვიდან: სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის ცენტრალური საბჭოს მიერ გამოცხადებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში 1967 წლის მაჩვენებლების მიხედვით საქართველოს ორგანიზაციამ I ადგილი მოიპოვა და გარდამავალი წითელი დროშითა და ცენტრალური საბჭოს საპატიო სიგელით დაჯილდოვდა.

ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებაში ნათქვამია: ასრულებდნენ რა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებას „ჩვენს ქვეყანაში ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების შემდგომი ღონისძიებების თაობაზე", ჩვენი ქვეყნის ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა მნიშვნელოვანი მუშაობა ჩაატარეს შარშანდელ სპორტულ სეზონში. ფიზკულტურის კოლექტივების რიცხვი გაიზარდა 4482-ით, ფიზკულტურელებისა—3.565 ათასზე მეტით. 1967 წლის სპორტული სეზონი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი IV საიუბილეო სპარტაკიადისთვის მზადებისა და მისი ჩატარების პერიოდი იყო. მნიშვნელოვნად გაიზარდა სპორტტექნიკური შედეგების დონე. საანგარიშო წელს მომზადებულია თითქმის 11 მილიონი ნიშნოსანი, 12 მილიონი თანრიგოსანი, რომელთა შორის 140 ათასი ოსტატობის კანდიდატი და პირველთანრიგოსანია. შარშან მომზადდა საერთაშორისო კლასის 334 სპორტის ოსტატი, 6630 სპორტის ოსტატი, დამყარდა 191 საკავშირო რეკორდი, რომელთაგან 76 მსოფლიო მიღწევას აღემატება. საბჭოთა სპორტსმენებმა მონაწილეობა მიიღეს მსოფლიოსა და ევროპის 67 ჩემპიონატში, აქედან, 46-ჯერ გავიმარჯვეთ, ხოლო 8 ჩემპიონატში საპრიზო ადგილები მოვიხვეჭეთ. ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწიეს მოსახლეობაში მასობრივ ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელ მუშაობაში და სხვ.

საქართველოს ფიზკულტურული ორგანიზაციის მაჩვენებლები ასეთია:

ნიშნოსნების მომზადება — 195.876 (მოსახლეობის 4,24 პროცენტი);

II, III და ჭაბუკთა თანრიგოსნებისა — 214.058 (მოსახლეობის 4,6 პროცენტი);

სპორტის ოსტატობის კანდიდატების და პირველთანრიგოსნებისა — 4.175 (გეგმის შესრულება 225,6 პროცენტით);

სპორტის ოსტატებისა — 221 (119,4 პროცენტი);

საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატებისა — 16 (145,45 პროცენტი);

საიუბილეო სპარტაკიადაში დაკავებული ადგილი — V.

მოპოვებული მაჩვენებლების მიხედვით II-III ადგილებს იყოფენ რსფსრ-სა და ესტონეთის ფიზკულტურული ორგანიზაციები. IV ადგილი დაიკავა ყაზახეთმა, V — ბელორუსიამ, VI — უკრაინამ, VII — მოლდავეთმა, VIII — აზერბაიჯანმა, IX — ყირგიზეთმა, X — ლატვიამ, XI — უზბეკეთმა, XII — ლიტვამ, XIII — თურქმენეთმა. XIV — სომხეთმა, XV — ტაჯიკეთმა.



## დაწინაურდა ტალი

ბელგრადი, 8 მაისი. იუგოსლავიის გაზეთები იმედს გამოთქვამდნენ, რომ ს. გლიგორიჩი შეძლებდა ყაიმის მიღწევას მ. ტალთან მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა მეოთხედფინალური მატჩის წინადღით გადადებულ VII პარტიაში. ზოგი დიდოსტატი უპირატესობას ანიჭებდა ტალის ზედმეტ პაიკს. მაგრამ ყველა ეჭვი თავად ტალმა გაფანტა.

თამაშის განახლებისას საბჭოთა დიდოსტატმა მეთოდური მანევრებით ნათელი გახადა თავისი უპირატესობა. 66-ე სვლაზე გლიგორიჩი დანებდა.

ახლა წინაა ტალი — 4:3.

## ლარსენმა ხელთ იგდო ინიციატივა

პორეჩი, 8 მაისი. მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა მეორე მეოთხედფინალის მატჩში ბ. ლარსენსა და ლ. პორტიშს შორის, რომელიც ადრიატიკის ზღვის პირას მდებარე ამ ქალაქში ტარდება, II პარტია გათამაშდა. გაიმარჯვა დანიელმა დიდოსტატმა.

1,5:0,5 — ასეთი ანგარიშით დაწინაურდა ლარსენი.

## ფეხბურთის მინდვრებზე

ბათუმი, 7 მაისი (ტელეფონით). გუშინ აქ გაიმართა მატჩი სსრ კავშირის თასზე ფეხბურთში: ადგილობრივმა „დინამომ" ანგარიშით 1:0 დაამარცხა ვოლგოგრადის „ტრაქტორი". შემდეგ მატჩში დინამოელები ტაშკენტის „პახტაკორს" შეხვდებიან.

* * *

გუშინ ქუთაისში საკავშირო პირველობის მორიგ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „ტორპედოსა" და როსტოვის ასკ-ს დუბლიორები. ფრე — 2:2.

## პროტესტი

პარიზი, 8 მაისი. საფრანგეთის ჩოგბურთის ფედერაციამ პროტესტი განუცხადა შვეციის ფედერაციას, რომელმაც მატჩი სამხრეთ როდეზიის გუნდთან საფრანგეთის ტერიტორიაზე ამ ქვეყნის ჩოგბურთის მესვეურთა უნებართვოდ ჩაატარა. პროტესტის ასლი გაეგზავნა ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციას. საფრანგეთის ფედერაციის პრეზიდენტმა რ. სიროტომ განაცხადა, რომ მატჩის ამბავი მხოლოდ გაზეთებიდან შეიტყო.

როგორც ჩანს, საფრანგეთის სპორტის მესვეურები აღფრთოვანებული არ არიან იმის გამო, რომ თუნდაც შემთხვევით დაუკავშირდნენ შეჯიბრებას, რომელშიც რასისტული სამხრეთ როდეზიის გუნდი მონაწილეობდა. (საკდესი).

## გუშინ

თბილისის „დინამოს" სტადიონის სათადარიგო მინდორზე გაიმართა საქართველოს რეგბისტთა ჩემპიონატის IV ტური. „დინამომ" მოუგო პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდს—62:8, „ლოკომოტივმა" — „განთიადს" — 14:0, უნივერსიტეტელებმა — ქუთაისის ნაკრებს — 11:6.

## ინფორმაციის საათი...

◆ ტალინი, 8 მაისი. დღეს აქ დაიწყო კალათბურთელ ვაჟთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც მონაწილეობენ ესტონეთის, ლენინგრადის, ლატვიის, საქართველოს, ფინეთისა და პოლონეთის ნაკრები გუნდები. საქართველოს ღირსებას იცავენ: მ. კორკია, ვ. უგრეხელიძე, ვ. ალთაბაევი, ვ. ნარიმანიძე, ა. კაზანჯიანი, ს. მაღალაშვილი, ბ. ბოლქვაძე, ზ. ქარაბაკი, რ. მამალაძე, თ. ჩიხლაძე, ს. კოვალენკო და ა. გლურჯიძე.

◆ სან-ხოსე (კალიფორნია), 8 მაისი. მეხიკოს ოლიმპიადისადმი ბოიკოტის მოძრაობის ერთ-ერთმა მონაწილემ, ამერიკელმა ზანგმა მორბენალმა ლი ევანსმა 400 მეტრზე ბრწყინვალე შედეგი აჩვენა — 45,7 წამი.

◆ ჰიუსტონი (ტეხასი), 8 მაისი. 440 იარდზე რბენის ფინიშთან პირველი მიიჭრა დეივ მორტონი— 45,4 წამი (400 მეტრზე ეს ზუსტად 45 წამს შეეფარდება).

◆ აკაპულკო, 8 მაისი. წყნარი ოკეანის ნაპირზე მდებარე ამ მექსიკურ საკურორტო ქალაქში თავს მოიყრიან 32 სახელმწიფოს (მათ შორის, სსრ კავშირის) აფროსნები, რომლებიც XIX ოლიმპიური თამაშების რეგატაში იასპარეზებენ.

◆ რომი, 8 მაისი. აქ სტარტი აიღო იტალიის ჩოგბურთელთა XXV ღია ჩემპიონატმა, ერთ-ერთმა იმ მცირერიცხოვან დიდ საერთაშორისო ტურნირთაგან, სადაც პროფესიონალ მოთამაშეებს გზა აქვთ დახშული. პირველ წრეში სსრ კავშირის ჩემპიონმა გ. ბაკშეევამ დაამარცხა იტალიელი ს. დე ნიგრისი — 6:4, 6:2, ხოლო ბაქოელმა ს. ლიხაჩოვმა—კანადელი ფ. ტატვინი — 6:4, 6:3, 6:4. მხოლოდ მოსკოველმა ა. დმიტრიევამ ვერ ჩააბარა პირველი გამოცდა — მან წააგო ინგლისელთან ვ. შოუსთან—3:6, 6:0, 5:7.

◆ პარიზი, 8 მაისი. უნგრელმა ჩოგბურთელმა ი. გულიაშმა მიიღო ოლიმპიური მოძრაობის დამაარსებლის პიერ დე კუბერტენის სახელობის პრიზი სამართლიანი თამაშისთვის. ეს ჯილდო მას იუნესკო-მ მიანიჭა. ამ პრიზით აღინიშნა უნგრელი სპორტსმენის რაინდული საქციელი: მან ჰამბურგში ასპარეზობისას მეხუთე, გადამწყვეტ პარტიაში დახმარება აღმოუჩინა დაშავებულ მეტოქეს.

◆ ლონგ-ბიჩი (კალიფორნია), 8 მაისი. გერი კარლსენმა 61,67 მეტრზე ტყორცნა ბადრო, ხოლო მარკ მიურეიმ შუბი — 81,86 მეტრზე.

# ისინი სამშობლოს იცავდნენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი სამამულო ომის ფრონტებზე ასობით ათასი საბჭოთა სპორტსმენი იბრძოდა, ბევრი მათგანი საბჭოთა კავშირის გმირი გახდა, ბევრი საბრძოლო ორდენებითა და მედლებითაა დაჯილდოებული.

მეომარი-სპორტსმენები ყველაზე სახიფათო ადგილებში იბრძოდნენ — პარტიზანულ ქვეგანაყოფებში, დაზვერვაში, მთაში, იქ, სადაც საჭირო იყო ძალა, სიმარჯვე, საზრიანობა. საუკეთესო სნაიპერები, მზვერავები, სათხილამურო ბატალიონების მეომრები, როგორც წესი, ჩინებული სპორტსმენები იყვნენ. ბევრი მათგანი ომიდან არ დაბრუნებულა, მაგრამ მათი გმირობა ცოცხლობს საბჭოთა ხალხის ხსოვნაში. ჩვენ მხოლოდ რამდენიმე ეპიზოდს გიამბობთ მეომარი სპორტსმენების საბრძოლო ცხოვრებიდან.

## ჩიტუნია

ერთხელ პარტიზანული რაზმის შტაბში, რომელიც სმოლენშჩინაზე მოქმედებდა, მზვერავმა მიირბინა.

— ჩვენსკენ ფაშისტთა ცხენოსანი რაზმი მიდის! — მოახსენა მან მეთაურს.

„იქ პარტიზანები არიან, უნდა გავაფრთხილოთ, — გაიფიქრა მეთაურმა. — მაგრამ როგორ? გზას გაჰყვე — ვერ მოასწრებ, ტყითაც — ვერა".

ტანმორჩილმა ქერა პარტიზანმა, ერთადერთმა ქალიშვილმა რაზმში, თითქოს მეთაურს ფიქრს მიუხვდაო, წამოიძახა:

— ნება დამრთეთ, თხილამურებით წავალ.

მეთაურმა ეჭვის თვალით გადახედა ქალიშვილს.

— მოასწრებ?

პარტიზანმა მხოლოდ თავი დაუკრა, თხილამურებს ხელი სტაცა და მიწურიდან გავარდა.

ქარი ქრის, ნაძვის ტოტები სახეს შოლტავენ, თხილამურები ჭრაჭუნობენ. ხეებს შორის გზაზე გაიელვეს და უკან დარჩნენ ცხენოსანთა აჩრდილები. „სწრაფად, სწრაფად, — ჩქარობს ქალიშვილი, — ოღონდ მოვასწრო!".

რბენა რომ გაადვილებოდა, მოთხილამურემ ქურქი გაიხადა. სულ რამდენიმე წუთით დაასწრო მან მტერს, მაგრამ ეს საკმარისი იყო. პარტიზანები ჰიტლერელებს ცეცხლით დახვდნენ. ფაშისტების უმრავლესობა უკან ვეღარ გაბრუნდა.

— ყოჩაღ, შვილო, — შეაქო ქალიშვილი ბრძოლის შემდეგ ხანში შესულმა პარტიზანმა, — დროზე გაგვაფრთხილე. მარდი ყოფილხარ, პატარა ჩიტუნია.

— პატარა ღრუბელს ხშირად დიდი სეტყვა მოჰყავს, — გაიცინეს პარტიზანებმა. — ეს ხომ ლიუბა კულაკოვაა, საბჭოთა კავშირის ჩემპიონი.

მამაცი პარტიზანი, ჩვენი ქვეყნის უძლიერესი მოთხილამურე 1942 წლის აპრილში დაიღუპა სმოლენსკის ოლქის სოფელ ლინკისთან ბრძოლის დროს. მოსკოვში, „ლოკომოტივის" სტადიონზე მას ძეგლი დაუდგეს. გმირი პარტიზანის, სპორტის დამსახურებული ოსტატის ლიუბა კულაკოვას პრიზზე შეჯიბრებას ჩვენი მოთხილამურე ქალები ყოველწლიურად ატარებენ.

## უველაზე ძნელი დისტანცია

1941 წლის აგვისტო. მიწა ცეცხლის ალშია გახვეული. მზვერავთა ჯგუფი ფრონტის ხაზის გავლით, სად ცოცვით, სადაც რბენით დავალებიდან ბრუნდება. მტერმა მიაგნო მამაცებს და ნაღმსატყორცნის ცეცხლის მჭიდრო რკალში მოაქცია. ერთ-ერთ მზვერავს ნაღმის ნამსხვრევმა ხელი გადაუმტვრია. ოცეულის მეთაურმა ლეონიდ მეშკოვმა დაჭრილს ხელი შეუხვია... მდინარემდე ოთხი კილომეტრია, იქ კი, მდინარე ლუგას გაღმა, ჩვენები არიან.

აი, დაბალი ლელქაშით დაფარული ნაპირიც. მდინარე აქ ფართო არ არის, ორმოცდაათ მეტრამდე იქნება. მაგრამ რარიგ ძნელია ამ მეტრების გადალახვა, როცა ტანსაცმელი გაცვია და თან ტკალი ხელით დაჭრილს უნდა მიეშველო! უცებ მეშკოვს მხარში რაღაცამ უბიძგა და ყრუ ტკივილი იგრძნო. მარჯვენა ხელი უსიცოცხლოდ ჩამოეკიდა, წყალი სისხლით შეიღება, მაგრამ მეშკოვმა ცურვა განაგრძო, დაჭრილი არ მიატოვა და წყალში მხოლოდ ფეხებს ამოძრავებდა.

ეს ორმოცდაათი მეტრი ყველაზე ძნელი დისტანცია იყო სპორტსმენის ცხოვრებაში. ომის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე ლ. მეშკოვმა სამი ევროპული რეკორდი დაამყარა თავისუფალი სტილით ცურვაში 200, 300 და 400-მეტრიან დისტანციებზე. და აი, ასე ბრწყინვალედ დაწყებული სპორტული კარიერა თითქოს სამუდამოდ უნდა შეწყვეტილიყო. ჰოსპიტალი... ექიმების განაჩენი: ხელი აღარ ამოძრავდება. რეკორდებზე ფიქრი ზედმეტი იყო...

და მაინც, სპორტსმენი არ ნებდებოდა. თოკითა და ორბირთულებით მარტივი აპარატი დაამზადა, ხელს მოძრაობას აჩვევდა და... ექიმების წინასწარმეტყველების წინააღმდეგ, სპორტის საყვარელ სახეობას დაუბრუნდა. შემდეგ მეშკოვი საბჭოთა კავშირის ჩემპიონიც კი გახდა, მსოფლიოს რეკორდი დაამყარა. ამჟამად სპორტის დამსახურებული ოსტატი ლ. მეშკოვი მწვრთნელად მუშაობს.

## სნაიპერი ნინა პეტროვა

მას ბავშვობიდანვე უყვარდა სპორტი — ციგურაობა, ცხენოსნობა, ველოსპორტი, ცურვა, მაგრამ განსაკუთრებული გატაცებით მცირეკალიბრიანი შაშხანით სროლაში ვარჯიშობდა.

ომის წინ პეტროვამ სნაიპერების სკოლა დაამთავრა და პირველი თანრიგის ინსტრუქტორის წოდება მიიღო. ნინამ სროლის ბევრი ოსტატი მოამზადა.

ომის დაწყების მეორე დღეს ნ. პეტროვა სამხედრო კომისარიატში მივიდა და უფროსის მაგიდაზე განცხადება დადო. უფროსმა წაიკითხა და მომსვლელს გაკვირვებით შეხედა.

— რამდენი წლისა ბრძანდებით?

— ორმოცდარვის,—უპასუხა პეტროვამ. — ნუთუ ამას მნიშვნელობა აქვს?

— თქვენ წარმოგიდგენიათ საფრონტო ცხოვრების ყველა სიძნელე და ხიფათი?

— ამისთვის მზად ვარ.

... იგი გაგზავნეს პოლკში, რომელიც ლენინგრადის მისადგომებს იცავდა. მეომრებს თავდაპირველად უკვირდათ, თავიანთ რიგებში უკვე ხანში შესულ ქალს რომ ხედავდნენ, რომელიც უბრალო ჯარისკაცი, სნაიპერი, მზვერავი იყო. ჯარისკაცები მას ალერსით დედას ეძახდნენ.

ერთხელ ბატალიონის მეთაურის შიკრიკი, რომელიც ნ. პეტროვასთან ერთად დაზვერვაზე იყო წასული, ცრემლმორეული მოიჭრა:

— დედა დაიღუპა. გერმანელებმა სროლა აუტეხეს, დედამ ხელები აიქნია და მკვდარი დაეცა. ჩემი თვალით დავინახე.

მთელი პოლკი სტიროდა პეტროვას დაღუპვას, იგი კი ერთი საათის შემდეგ საღ-სალამათი დაბრუნდა.

— კი მაგრამ, როგორ? — უკვირდა შიკრიკს. — შენ ხომ მოგკლეს, ჩემი თვალით დავინახე.

— ცუდად დაგინახავს, — გაიცინა პეტროვამ. — სამხედრო ეშმაკობას ვერ ხვდები. გერმანელებმა დამინახეს, რომ დავეცი, იფიქრეს, მოვკალითო და სროლა შეწყვიტეს. მე კი დავზვერე, რაც საჭირო იყო და მოვედი.

სახელი ზემდეგი პეტროვასი, რომელმაც ასზე მეტი ჰიტლერელი მოსპო, თანდათან პოპულარული ხდებოდა. ფრონტზე გაავრცელეს ფურცლები მისი სურათით. მშობლიური ლენინგრადის კედლებიდან შტეტინამდე მიიდა მეომარი პეტროვა. მის გმირობას სამივე ხარისხის დიდების ორდენები ამშვენებდა. სნაიპერი-სპორტსმენი მაისის მზიან დღეს დაიღუპა, გამარჯვების მიჯნასთან.

## მოკრივის სისწრაფე

დიდი სამამულო ომის დროს ასეთი შემთხვევა მოხდა: ბატალიონმა ბრძოლით დაიკავა პატარა ქალაქი. მტერი უკან იხევდა, სროლა შეწყდა. ტანადი გვარდიელი მკერდზე გადაკიდებული ავტომატით ქუჩაში მიაბიჯებდა. აი, მან ქუჩის კუთხეში შეუხვია და უცებ პირისპირ შეეჯახა მტრის ჯარისკაცს, რომელიც სახლის უკან ჩასაფრებულიყო და ავტომატი მოემარჯვებინა. საკმარისი იყო ჩახმახზე ხელის გამოკვრა და საბჭოთა მეომარს ავტომატის სასიკვდილო ჯერი განგმირავდა. მაგრამ გვარდიელი არ დაბნეულა, ნიკაპში მუშტის დარტყმით წააქცია მტერი და განაიარაღა. სისწრაფემ შეუნარჩუნა სიცოცხლე გვარდიელს. ასე მხოლოდ გამოცდილი და მარჯვე სპორტსმენი თუ მოიქცეოდა. ეს გახლდათ ცნობილი მოკრივე, სსრ კავშირის ჩემპიონი ნიკოლოზ შტეინი.

## სამგზომ უშველა

ჩვენ მას თითქმის ყოველ საღამოს ვხედებით. ტელევიზორის ცისფერი ეკრანიდან იგი სასიამოვნო ბარიტონით მოგვითხრობს, თუ რა მოხდა მსოფლიოში ერთი დღის განმავლობაში, გვაცნობს გადაცემათა პროგრამას. ცენტრალური ტელევიზიის დიქტორს ვიქტორ ბალაშოვს ყველა იცნობს, მაგრამ ყველასათვის როდია ცნობილი, რომ ეს კაცი ერთ დროს პოპულარული სპორტსმენი გახლდათ — სამბოში მოსკოვის ჩემპიონი და სსრ კავშირის პირველობის პრიზიორი.

ისიც ცოტამ იცის, რომ სამამულო ომის წლებში ბალაშოვი მამაცი მზვერავი იყო, რომელიც არაერთხელ შეპარულა მტრის ზურგში და სახიფათო დავალება შეუსრულებია. ერთ ღამეს ბალაშოვი მზვერავთა ჯგუფთან ერთად მორიგი დავალების შესასრულებლად წავიდა. ეს მალოიაროსლავეცის მახლობლად იყო. მზვერავებს ფრონტის ხაზი უნდა გადაეკვეთათ და „მოენე" ტყვედ ჩაეგდოთ.

ორნი ზურგის დასაცავად დარჩნენ, ბალაშოვმა და ორმა სხვამ კი ცოცვით მიაღწიეს ბლინდაჟს. ჩასაფრდნენ. დიდხანს ლოდინი არ დასჭირვებიათ. ბლინდაჟიდან სამი კაცი გამოვიდა. ორი მათგანი ხმადაბალი ლაპარაკით სანგარში ჩავიდა, მესამემ კი დააყოვნა. მზვერავები მას მისცვივდნენ. ბალაშოვმა ჰიტლერელი განაიარაღა, მაგრამ უეცრად იგრძნო, რომ კისერზე ვიღაც ჩამოეკიდა და დახრჩობას უპირებდა: ის ორი გერმანელი დაბრუნებულიყო. წამიც და მზვერავმა სამბოს ილეთით მიწაზე გაშხლართა აყლაყუდა ჰიტლერელი. ხანმოკლე ორთაბრძოლა... ყუმბარის აფეთქება და მზვერავები ხელფეხშეკრული ჰიტლერელით ღამის წყვდიადში გაუჩინარდნენ. დავალება შესრულდა, მზვერავებს სამბომ უშველა!

ა. სვეტოვი.



# მეხიკო მთავარი საზრუნავია

„ლელოს" ინტერვიუ

„ლელოს" მკითხველებმა იციან, რომ ამას წინათ ალმა-ათასა და კუიბიშევში ჩატარდა კლასიკური სტილის მოჭიდავეთა საკავშირო პირადი ჩემპიონატის ფინალური ტურნირები. ხალიჩაზე წარმატებას მიაღწია სამმა ქართველმა ათლეტმა: საშუალო წონაში **ო. ბლიაძემ** ოქროს მედალი დაისაკუთრა, ხოლო **თ. მაჭავარიანმა** — ვერცხლისა, ქვემძიმე წონაში კი **მ. ჩიბურდანიძეს** III ადგილი ხვდა წილად. ჩვენი კორესპონდენტი **ტ. ფილიშვილი** ესაუბრა პრიზიორებს. გთავაზობთ ამ ინტერვიუს.

● **რომელი ბრძოლა დაგამახსოვრდათ ყველაზე მეტად?**

ო. ბლიაძე: ყველაზე მეტად, რა თქმა უნდა, დამამახსოვრდა ჭიდილი ჩემს მუდმივ მეტოქესთან — ევროპის ჩემპიონ იურკევიჩთან. შეხვედრა წმინდად მოვიგე. ვინაიდან იურკევიჩი მეხიკოში გამგზავრების ერთ-ერთი ნაღდი კანდიდატია, ამ გამარჯვებამ უდიდესი სიამოვნება მომგვარა.

● **რას იტყვით ჩემპიონატის ტექნიკურ დონეზე?**

თ. მაჭავარიანი: სხვა წონით კატეგორიებზე ბევრს ვერაფერს გეტყვით, ვინაიდან ყოველი ჩვენგანი საკუთარი საზრუნავით იყო დაკავებული. საშუალო წონის ათლეტთა შესახებ კი მოგახსენებთ, რომ აქ თავმოყრილი იყო თანაბარი ძალის რამდენიმე მეტად ძლიერი მოჭიდავე. თვად განსაჯეთ, პირველობისთვის იბრძოდნენ სსრ კავშირის, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონები კიროვი, იურკევიჩი, ოლეინიკი...

● **კმაყოფილი ხართ თუ არა შედეგით?**

მ. ჩიბურდანიძე. რა თქმა უნდა. მით უმეტეს, რომ ქვემძიმეწონოსნებში მსოფლიოს სამი ჩემპიონი ასპარეზობდა.

● **რა არის თქვენი უახლოესი ამოცანა?**

ო. ბლიაძე: ოლიმპიური თამაშები! ახლა ჩემი გონება ამ ტურნირით არის დაკავებული. ყველა ღონეს ვიხმარ, რომ გავემგზავრო მეხიკოში და არ შევარცხვინო გულშემატკივრები.

● **ჭიდაობის გარდა სპორტის რომელი სახეობა გიზიდავთ ყველაზე მეტად?**

მ. ჩიბურდანიძე: კალათბურთი, ფრენბურთი, მაგიდის ჩოგბურთი...

ო. ბლიაძე: გატაცებული ვარ ნადირობით.

● **რას იტყვით ჩვენი რესპუბლიკის სხვა მოჭიდავეებზე, რომლებმაც წარმატებას ვერ მიაღწიეს ვერც ალმა-ათაში და ვერც სვერდლოვსკში?**

თ. მაჭავარიანი: არ გაუმართლა ჩვენს ვეტერანს დ. გვანცელაძეს, რომელიც დასანანად დამარცხდა ნიკიფოროვთან და საპრიზო ადგილების მიღმა დარჩა. მეორე ვეტერანმა ო. ეგაძემ წლეულს ბრწყინვალედ იასპარეზა პოდუბნის მემორიალში. მაგრამ, როგორც ჩანს, გადაიღალა, რაც შეეხება მსოფლიოს ორგზის ჩემპიონს რ. რურუას, იგი ჩინებულ ფორმაში იყო, მაგრამ ჩემპიონატის წინ ვარჯიშისას ფეხი იტკინა და ხალიჩაზე ვერ გამოვიდა.

* * *

სურათზე: მარცხნიდან — მ. ჩიბურდანიძე, ო. ბლიაძე და თ. მაჭავარიანი.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

# მსოფლიო რეკორდზე უკეთესი

როგორც ცნობილია, საქართველოს ტყვიის მსროლელებმა ქვეყნის 8 უძლიერესი კოლექტივის საკავშირო შეჯიბრებაში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს და ამას წინათ სასპარეზოდ ოდესას ეწვივნენ. ტურნირის ზოგიერთი შედეგი უკვე გაცნობეთ. ახლა დავუმატებთ, რომ ოდესაში ჩვენი რესპუბლიკის წარგზავნილები საერთო გუნდურ ჩათვლაში IV ადგილზე გავიდნენ. ისინი მხოლოდ რუსეთის ფედერაციის, მოსკოვისა და ლენინგრადის გუნდებს ჩამორჩნენ, ხოლო აჯობეს ისეთ ძლიერ კოლექტივებს, როგორიც ბელორუსიისა და უკრაინის გუნდები არიან.

საქართველოს სპორტსმენებმა II საპრიზო ადგილები დაისაკუთრეს „გაქცეულ ტახზე" და „გაქცეულ ირემზე" გუნდურ სროლაში. გ. თავდიდიშვილმა პირად ტურნირში „ირემზე" 25 ორმაგი გასროლით 234 ქულა დააგროვა, რაც 1 ქულით აღემატება ზაკურენოვის ოფიციალურ მსოფლიო რეკორდს. თავდიდიშვილის მიღწევა მსოფლიო რეკორდად არ დამტკიცდება მხოლოდ იმიტომ, რომ იგი ეროვნულ ტურნირშია ნაჩვენები.

საქართველოს გუნდმა (შ. ქველიაშვილი, ვ. ახალაძე, ლ. ოსტროკოვი, ე. აბაჯანი) საერთო I ადგილი დაისაკუთრა საბრძოლო ნებისმიერი შაშხანით სტანდარტზე (3×20), ჩოქელა და დგომელა 40 გასროლის ჯამში.

ა. ოსიპოვი,
საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

ელექტრონული ბიბლიოთეკა

# მშვიდობის ოცდამეერთე...

ყოველ გაზაფხულს ჩეხოსლოვაკიის, პოლონეთისა და გდრ-ის გზატკეცილებზე ველოსიპედისტთა ჭრელი ჯგუფები მიქრიან. იცვლება სტარტისა და ფინიშის ადგილები: ისინი ხან პრაღაშია, ხან ვარშავაში, ხანაც ბერლინში... ვეტერანებს ახალგაზრდობა ცვლის. უცვლელი მხოლოდ ველორბოლის სიმბოლო — ფაშიზმზე გამარჯვებული ადამიანის სიმბოლო, ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობის სიმბოლო რჩება.

1948 წელს მშვიდობის ველორბოლის ჩატარების იდეა წამოაყენეს პოლონეთის გაზეთმა „ტრიბუნა ლიუდუმ" და ჩეხოსლოვაკიურმა „რუდე პრავომ". ველორბოლის ტრასამ დააკავშირა ამ ორი ქვეყნის დედაქალაქები. 1952 წელს შეჯიბრებაში ჩაება გდრ-ის გაზეთი „ნოიეს დოიჩლანდიც". ტრასამ ახლა ბერლინშიც გაიარა.

მშვიდობის ველორბოლა პირად-გუნდური შეჯიბრებაა. გუნდში უნდა იყოს 3-6 სპორტსმენი. გუნდური შედეგები ჯამდება სამი საუკეთესო სპორტსმენის მაჩვენებლებით.

საბჭოთა ველომრბოლელები ამ შეჯიბრებაში პირველად 1954 წელს ჩაებნენ და უკვე 1956 წელს წარმატება იზეიმეს. საბჭოთა სპორტსმენებმა შვიდჯერ გაიმარჯვეს გუნდურ ჩათვლაში. ასეთი წარმატებით არ უასპარეზიათ არც ერთი სხვა ქვეყნის წარმომადგენლებს. გდრ-ის მრბოლელებს 5 გამარჯვება აქვთ, ჩეხოსლოვაკიელებს — 4, პოლონელებს — 3. პირად ჩათვლაში ლიდერობენ გდრ-ისა და დანიის ველომრბოლელები (4-4 მოგება). საბჭოთა სპორტსმენებს 3 გამარჯვება აქვთ. მხოლოდ ერთმა სპორტსმენმა შეძლო ორჯერ გამხდარიყო ლაურეატი: 1955 და 1959 წლებში ყველას აჯობა გდრ-ის წარმომადგენელმა, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა გუსტავ ადოლფ შურმა. პირველი დუბლი ბრიტანელმა ველოსიპედისტებმა შეძლეს: 1952 წელს გაიმარჯვეს როგორც პირად, ისე გუნდურ ჩათვლაში. მხოლოდ 8 წლის შემდეგ მათი წარმატება გაიმეორეს გდრ-ის ველომრბოლელებმა. გერმანელების შემდეგ ასეთი შედეგი ჰქონდათ საბჭოთა სპორტსმენებსაც. ჩვენი გუნდი ერთადერთია, რომლის ანგარიშზე სამი ასეთი გამარჯვებაა.

ველოსიპედის მარათონმა, რომელიც სამი რესპუბლიკის გზებზე გადის, „ცხოვრების საგზური" მისცა ისეთ ცნობილ ოსტატებს, როგორიც არიან შური (გდრ), პროოსტი (ბელგია), ბრიტენი (ინგლისი), დალგარდი (დანია), კაპიტონოვი (სსრ კავშირი), სმოლიკი (ჩეხოსლოვაკია), გიუიო (საფრანგეთი).

დღეს ბერლინში იწყება მშვიდობის XXI ველორბოლა.

ჩვენი გაზეთის მკითხველთათვის უინტერესო არ იქნება გაგაცნოთ წინა ოც შეჯიბრებაში გამარჯვებული გუნდები, სპორტსმენები, ტრასის სიგრძე, ეტაპების რაოდენობა.

I. 1948 წ. პრაღა — ვარშავა. 7 ეტაპი. 1104 კმ. პოლონეთი. ზორიჩი (იუგოსლავია). I. ვარშავა — პრაღა. 5 ეტაპი. 872 კმ. პოლონეთი. პროშენიკი (იუგოსლავია).

II. 1949 წ. პრაღა — ვარშავა. 8 ეტაპი. 1259 კმ. საფრანგეთი. ვესელი (ჩეხოსლოვაკია).

III. 1950 წ. ვარშავა — პრაღა. 9 ეტაპი. 1539 კმ. ჩეხოსლოვაკია. ემბორგი (დანია).

IV. 1951 წ. პრაღა — ვარშავა. 9 ეტაპი. 1544 კმ. ჩეხოსლოვაკია. ოლსენი (დანია).

V. 1952 წ. ვარშავა — ბერლინი — პრაღა. 12 ეტაპი. 2135 კმ. ინგლისი. სტილი (ინგლისი).

VI. 1953 წ. პრაღა — ბერლინი — ვარშავა. 12 ეტაპი. 2231 კმ. გდრ. პედერსენი (დანია).

VII. 1954 წ. ვარშავა — ბერლინი — პრაღა. 13 ეტაპი. 2052 კმ. ჩეხოსლოვაკია. დალგარდი (დანია).

VIII. 1955 წ. პრაღა — ბერლინი — ვარშავა. 13 ეტაპი 2214 კმ. ჩეხოსლოვაკია. შური (გდრ).

IX. 1956 წ. ვარშავა — ბერლინი — პრაღა. 12 ეტაპი. 2213 კმ. სსრ კავშირი. კრულიაკი (პოლონეთი).

X. 1957 წ. პრაღა — ვარშავა — ბერლინი. 12 ეტაპი. 2209 კმ. გდრ. ხრისტოვი (ბულგარეთი).

XI. 1958 წ. ვარშავა — ბერლინი — პრაღა. 12 ეტაპი. 2210 კმ. სსრ კავშირი. დამენი (ჰოლანდია).

XII. 1959 წ. ბერლინი — პრაღა — ვარშავა. 13 ეტაპი. 2057 კმ. სსრ კავშირი. შური (გდრ).

XIII. 1960 წ. პრაღა — ვარშავა — ბერლინი. 13 ეტაპი. 2290 კმ. გდრ. ჰაგენი (გდრ).

XIV. 1961 წ. ვარშავა — ბერლინი — პრაღა. 13 ეტაპი. 2435 კმ. სსრ კავშირი. მელიხოვი (სსრ კავშირი).

XV. 1962 წ. ბერლინი — პრაღა — ვარშავა. 14 ეტაპი. 2407 კმ. სსრ კავშირი. საიდხუჟინი (სსრ კავშირი).

XVI. 1963 წ. პრაღა — ვარშავა — ბერლინი. 15 ეტაპი. 2568 კმ. გდრ. ამპლერი (გდრ).

XVII. 1964 წ. ვარშავა — ბერლინი — პრაღა. 16 ეტაპი. 2244 კმ. გდრ. სმოლიკი (ჩეხოსლოვაკია).

XVIII. 1965 წ. ბერლინი — პრაღა — ვარშავა. 15 ეტაპი. 2318 კმ. სსრ კავშირი. ლებედევი (სსრ კავშირი).

XIX. 1966 წ. პრაღა — ვარშავა — ბერლინი. 15 ეტაპი. 2340 კმ. სსრ კავშირი. გიუიო (საფრანგეთი).

XX. 1967 წ. ვარშავა — ბერლინი — პრაღა. 16 ეტაპი. 2281 კმ. პოლონეთი. მაესი (ბელგია).

# ჩვენი თვალით ვიხილოთ

თბილისში, ლელვთახევის კლდეებზე უკვე მეორე თვეა ვარჯიშობენ მამაცთა სპორტის მოყვარულები — კლდეზე მცოცველები. წელზე საიმედოდ დამაგრებული თოკის ბოლო შემოუკრავთ და თამამად დაცოცავენ შვეულ კედელზე უნივერსიტეტის, პოლიტექნიკური და ფიზკულტურის ინსტიტუტების, საფინანსო-ეკონომიური ტექნიკუმის სტუდენტები, სპორტსაზოგადოებათა და ფიზკულტურული კოლექტივების სპორტსმენები. ისინი ემზადებიან ალპინისტური სეზონის გახსნისთვის, რაც დღეს მტკვარზე, მეტეხის ციხის კლდეებთან ეწყობა გამარჯვების დღის აღსანიშნავად. ამ საჩვენებელ შეჯიბრებას მოჰყვება თბილისის პირად-გუნდური პირველობა სპორტსაზოგადოებებსა და ფიზკულტურულ კოლექტივებს შორის: 11-12 მაისს ლელვთახევში (ბოტანიკური ბაღი) სპორტის ამ სახეობის გამოცდილი თუ ახალბედა წარმომადგენლების ასპარეზობა ჩატარდება. ტურნირის მონაწილეთა მიზანია საქართველოს ნაკრები გუნდის შემადგენლობაში მოხვედრა, რომელიც სსრ კავშირის წლევანდელ პირველობაში მიიღებს მონაწილეობას. ეს ჩემპიონატი ოქტომბერში გაიმართება იალტაში.

მკითხველისთვის ალბათ უინტერესო არ იქნება საქართველოში კლდეზე ცოცვის ისტორიის მოკლედ გაცნობა.

საბჭოთა ალპინიზმის აკვანი ჩვენს რესპუბლიკაში დაირწა 1923 წელს, როცა მამაცმა მთამსვლელებმა პროფესორ გიორგი ნიკოლაძის ხელმძღვანელობით მყინვარწვერზე შედგეს ფეხი. იმ დღიდან ქართველ მთამსვლელებს მოწინავე პოზიციები არ დაუთმიათ. 50-ანი წლებიდან საქართველოში წარმატებით ვითარდება „ბარის ალპინიზმი" — კლდეზე ცოცვაც. 1952 წელს იალტაში პროფკავშირთა I საკავშირო ჩემპიონატი ჩატარდა. მაშინ ჯერ კიდევ ახალბედა სპორტსმენებმა მიხეილ ხერგიანმა და შალვა მარგიანმა წყვილთა ცოცვაში ჩემპიონობა დაისაკუთრეს.

მიხეილ ხერგიანი დღეს სსრ კავშირის შვიდგზის ჩემპიონია კლდეზე ცოცვაში. საკავშირო სარბიელზე წარმატებით გამოდიან მისი მოწაფეებიც. 1965 წელს საქართველოს გუნდმა ჩემპიონობა დაისაკუთრა. ამ პირველობაში თამაზ ბაქანიძემ მიხეილის ოქროს ჯილდოებს ბრინჯაოს მედალი მიუმატა და დიდი თასიც საქართველოში ჩამოიტანეს. 1967 წელს თასი ვერ შევინარჩუნეთ, მაგრამ იულია თურმანიშვილმა, რომელსაც ჩემპიონობა შემთხვევითმა მარცხმა დააკარგვინა, ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა.

ვუსურვოთ საქართველოს კლდეზე მცოცველებს წარმატება და ჩვენი თვალით ვიხილოთ მათი ოსტატობა: დღეს მეტეხის ციხეს ვეწვიოთ, 11-12 მაისს — ბოტანიკურ ბაღს.

**პ. გვარლიანი,**
სპორტის ოსტატი.



ს უ რ ა თ ზ ე: ვარჯიშის მომენტი.
ფოტო ავტორისა.

# ყველა ვაკანსია შეივსო

დამთავრდა თბილისის კალათბურთელ ვაჟთა ჩემპიონატიც. ორი კვირის მანძილზე ქალაქის 9 უძლიერესი გუნდი ჩემპიონის სახელისთვის იბრძოდა, მაგრამ არანაკლებ საპატიო იყო პრიზიორებში მოხვედრაც, რადგან იგი საქართველოს პირველობაში მონაწილეობის უფლებას იძლეოდა (ჩემპიონატი დაიწყება 28 ივნისს ფოთში). სწორედ ამ ფაქტმა გამოიწვია შეჯიბრების დიდი დაძაბულობა.

წარმატებით იასპარეზა სამედიცინო ინსტიტუტის ახალგაზრდულმა კოლექტივმა. იგი ერთადერთი გუნდია, რომელმაც ჩემპიონატი დაუმარცხებლად განვლო. მომავალი მედიკოსები გამოირჩეოდნენ დიდი შრომისმოყვარეობით და გამარჯვებისკენ სწრაფვით, რამაც მათ ბევრ პასუხსაგებ მატჩში გამარჯვება მოუტანა. სამედიცინო ინსტიტუტის კალათბურთელებმა ქულათა მაქსიმუმი (16) დააგროვეს, თბილისის ჩემპიონის წოდება და რესპუბლიკურ პირველობაში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს. ეს დიდი წარმატება თანაბრად ნაწილდება გუნდის ყველა წევრზე და მწვრთნელზე, საკავშირო კატეგორიის მსაჯზე ჯ. ნატრიაშვილზე.



II ადგილი დაიკავა უნივერსიტეტის ძლიერმა და გამოცდილმა კოლექტივმა (მწვრთნელი დ. ქამუშაძე), რომელმაც 7 მატჩი მოიგო და მხოლოდ ერთხელ იწვნია მარცხის სიმწარე. უნივერსიტეტელებიც ითამაშებენ რესპუბლიკურ ჩემპიონატში.

• ყველაზე დაძაბული გამოდგა ბრძოლა III საპრიზო ადგილისთვის, რომელზეც პრეტენზიას აცხადებდა ერთბაშად 4 გუნდი: „მეტრომშენი", „ცისარტყელა", ფიზკულტურისა და პოლიტექნიკური ინსტიტუტები. მათ 12-12 ქულა დააგროვეს (4 მოგება და ამდენივე წაგება). ამ კვარტეტში უკეთესი მაჩვენებლები აღმოაჩნდათ „მეტრომშენსა" და „ცისარტყელას", მაგრამ ვინაიდან ამ უკანასკნელს მოგებული ჰქონდა ბრძოლა „მეტრომშენთან", III ადგილი მას მიეკუთვნა. „მეტრომშენი" IV ადგილზე დარჩა. შემდეგ არიან: პოლიტექნიკური, ფიზკულტურის, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტები, „დინამო" და „შრომითი რეზერვები".

განსაკუთრებულ ქებას იმსახურებს III პრიზიორის წარმატება, რომელმაც მთელი ტურნირი თითქმის ერთი შემადგენლობით ჩაატარა. „ცისარტყელას" ღირსებას სულ 6 სპორტსმენი იცავდა, მეტწილად კალათბურთელთა ძველი თაობის წარმომადგენლები, რომლებმაც ტოლი არ დაუდეს ახალგაზრდებს. ეს ფაქტი ნათელ წარმოდგენას გვაძლევს, რა დონეზე დგას დღეს კალათბურთი თბილისში.

**ლ. ფალავანდიშვილი,**
სპორტის დამსახურებული ოსტატი.

• • •

ს უ რ ა თ ზ ე: სამედიცინო ინსტიტუტის გუნდი — თბილისის ჩემპიონი. დგანან (მარცხნიდან) — ე. ხომასურიძე (გუნდის ხელმძღვანელი), ჯ. ნატრიაშვილი (მწვრთნელი), თ. ასათიანი, დ. ამშიკაშვილი, გ. ნატრიაშვილი, გ. აფციაური, ა. ლიბრაძე, მ. ყარაშვილი; პირველ რიგში — ნ. შავდია, თ. გვასალია, ი. თოფურიძე, ც. შევარდნაძე, მ. კვირკველია.

## [illegible]

### ✦ აბაშა

ჩატარდა რაიონული შეჯიბრებები მცირეკალიბრიანი და პნევმატური შაშხანით სროლაში. ტყვიის სროლაში პირველობა აბაშის 1-ლი საშუალო სკოლის გუნდმა მოიგო, პნევმატური თოფით ტურნირი კი მე-2 საშუალო სკოლის სპორტსმენებმა.

**რ. შანტურია.**

### ✦ ცხაკაია

ფეხბურთელთა 16 გუნდი მონაწილეობდა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების გათამაშებაში „ოქროს თავთავის" თასზე. ძველი სენაკის საბჭოთა მეურნეობის წარმომადგენლებმა ფინალში ანგარიშით 1:0 დაამარცხეს თეკლათის ჭავჭავაძის სახელობის კოლმეურნეობის გუნდი და მოიპოვეს პრიზი.

**ე. გუგუნავა.**

# უშეღავათო შეხვედრები




საქართველოს ვაჟთა საჭადრაკო პირველობაში 12 ტურის შემდეგ ლიდერობენ: თ. ლომაია — 10 ქულა, ზ. მიქაძე — 9,5, ბ. გურგენიძე — 9, რ. ჯინჯიხაშვილი — 8,5, ა. ბოკუჩავა, ე. უბილავა — 8-8.

XII ტური. ბოკუჩავა — ლომაია 0:1, გ. მაჭავარიანი — გურგენიძე 0:1, ჯინჯიხაშვილი — მიქაძე 0:1, უბილავა — ა. წერეთელი 1:0, ხ. მეგრელიშვილი — მ. არჩვაძე (სამტრედია) 1:0, ა. ბრეიტმანი (ტყვარჩელი)—თ. დეკანოზიშვილი 1:0, თ. გიორგაძე — შ. თოთლაძე (გორი) 1:0.

მღელვარებამ თავისი დაღი დაასვა ლიდერთა ბრძოლას.

ჯინჯიხაშვილმა მიქაძეს გამხოლოებული პაიკი შეუქმნა, ხოლო ენდშპილში გადასვლისას მოსაგები პოზიციაც მიიღო. როცა გამარჯვების უმოკლესი გზა იყო მოსაძებნი, საქართველოს ჩემპიონი მეფით მიეჭრა მიქაძის გვირგვინოსანს. სხვა დროს ეს მანევრი გონივრული იქნებოდა, ამჯერად კი მეტისმეტად გაბედული გამოდგა. ჯინჯიხაშვილმა შამათის შენიღბული მუქარა ვერ შენიშნა და მახეში გაება. ფინიშზე, ისიც ერთ-ერთ მთავარ მეტოქესთან, ქულის დაკარგვის მნიშვნელობა კომენტარს არ საჭიროებს. სხვათა შორის, ამ დღეს მიქაძემ კიდევ ერთი ქულა მოიპოვა: მაჭავარიანი დანებდა XI ტურის გადადებულ პარტიაში.

უაღრესად მწვავე და რთული თამაში გააჩაღეს ბოკუჩავამ და ლომაიამ. პირველმა ჯერ სამი პაიკის, შემდეგ კი ხარისხის შეწირვით მძლავრი იერიში წამოიწყო. ლომაია მომხიბლავი სიმშვიდით იგერიებდა მუქარას. როგორც ჩანს, ბოკუჩავას უფრო ენერგიულად უნდა ემოქმედა, რომ ცენტრში მეტოქის მეფის დაყოვნება გამოეყენებინა. იგი კრიტიკულ პოზიციას ასცდა და ლომაიამ 41-ე სვლაზე გაიმარჯვა.

გურგენიძე რომ ღრმად ერკვევა პოზიციის სიღრმეში, ეს ახალი ამბავი როდია. მაგრამ მისი შორსმჭვრეტელობა მაჭავარიანთან მოსალოდნელი ენდშპილის ნიუანსების შეფასებაში მაინც გვხიბლავს. მაჭავარიანმა სწორედ ამ ნიუანსებს ვერ აუღო ალღო.

ყველას გული მოინადირა ახალგაზრდა უბილავამ, რომელმაც უკვე მეშვიდე (!) პარტია მოიგო ზედიზედ. ამასთან, მოგებაც არის და მოგებაც. წერეთელთან თამაშის დროს უბილავამ პაიკის შეწირვით მძლავრი იერიში წამოიწყო, ხოლო ეტლის მრავალგზის „თვითმკვლელობით" საბოლოოდ დაიპყრო მეტოქის მეფე.

ლიდერთა უშეღავათო ჭიდილმა ეშხი და ლაზათი შემატა ამ მიმზიდველი პირველობის ფინიშს.

**თ. გიორგაძე.**

# სპორტული უნივერსიტეტი 68

როგორც მოსალოდნელი იყო ჩვენმა „სპორტულმა უნივერსიტეტმა“ მკითხველთა დიდი ინტერესი გამოიწვია. რედაქციამ I სერიის პასუხად 765 წერილი მიიღო საქართველოს თითქმის ყველა ქალაქიდან და რაიონიდან. კონკურსში მონაწილეობის სურვილი გამოთქვეს მოსკოვში, მოსკოვის ოლქის დაბა ტომილინოში, ლუგანსკის ოლქის ქალაქ კომუნარსკში, დონეცკის ოლქის ქალაქ კრასნოარმეისკში, სიმფეროპოლში, ვორონეჟში, ტომსკში, აზერბაიჯანის სს რესპუბლიკის სოფ. ალიბეგლოში მცხოვრებმა სპორტის მოყვარულებმაც.

I სერიის პასუხებში კონკურსის მონაწილეთა საკმაოდ კარგი ცოდნა გამომჟღავნდა. თუ შეიძლება ითქვას, სპორტული უნივერსიტეტის „სტუდენტებმა“ I კურსის გამოცდებს წარმატებით გაართვეს თავი. ამას ისიც ადასტურებს, რომ მონაწილეთა ნახევარზე მეტმა მოაგროვა აუცილებელი მინიმუმი (8 ქულა), ხოლო აქედან მაქსიმუმი — 10 ქულა აქვს 97 კაცს.

ვაქვეყნებთ კონკურსის იმ მონაწილეთა გვარებს, რომელთაც „სპორტული უნივერსიტეტის“ I სერიის შემდეგ დააგროვეს:

**10 ქულა** შ. მექვაბიშვილი, გ. კაკაურიძე, ჯ. ძაგანია, დ. ჯავახიძე, მ. მამისთვალოვი, ნ ქურიძე, ნ. ბაქრაძე, ნ. მასტიაშვილი, რ. თავაძე, თ. ლებანიძე, მ. ონოფრიშვილი, თ. წიკლაური, ზ. მაკარიძე, ჯ. ამაშუკელი, ვ. ღლონტი, მ. ბახტაძე, პ. კემულარია, გ. ლორთქიფანიძე, ნ. ელერდაშვილი, ქ. მესხი, ი. ადამაშვილი, თ. ღვინეფაძე, ზ. ეკიზაშვილი, ს. მეყანწიშვილი, მ. კახაძე, ჯ. ბაშელეიშვილი, გ. მაჭავარიანი, გ. ძიძიგური, მ. დონდუა, გ. ჯაფარიძე, ჯ. ხუციბერიძე, გ. ხარაზიშვილი, მ. მანია, გ. ჯანბერიძე, ბ. ხერხეულიძე, გ. ბასილაშვილი, გ. ცხოვრებაძე, ნ. ნადირაძე, ა. ფაჩუაშვილი, გ. ლობჟანიძე, ა. ხაბაზი, ჯ. გოშაძე, ი. ბეგიაშვილი, ა. კეკელიძე, ბ. ტაბიძე, რ. კაპანაძე, ნ. ხაჩიძე, ჯ. მჭედლიშვილი, დ. ნაცვლიშვილი, ლ. ადამაშვილი, თ. ჯანყარაშვილი, დ. ბედია, ვ. ხვიტია, ა. გუნცაძე, ჯ. მარქარიანი, მ. ხაჭაპურიძე, ი. მამისთვალოვი, ლ. გოგოლაური, ო. ქავთარაძე, ჯ. ღვინიაშვილი, ჯ. კურცხალია, ა. ტაკიძე (ყველა — თბილისი), ა. ბალავაძე, ე. მდივნიშვილი, ნ. გიგოლაშვილი (ყველა—რუსთავი), ა. ცომაია (აბაშა), ვ. სირბილაძე, ზ. შალამბერიძე, თ. ალფაიძე, ა. მელქაძე, ი. ბუზიაშვილი, მ. სოფრომაძე, მ. გოგბერაშვილი, დ. ჩიკვაშვილი, გ. ლაბაძე, დ. ჯანაშვილი (ყველა — ქუთაისი), ნ. გიგიტელაშვილი (თელავი), დ. გურგენიძე (საგარეჯო), ჯ. ვაშაკიძე (სამტრედია), ჰ. ტეხაშვილი (სურამი), თ. კობახიძე, გ. კაჭარავა, თ. მჟავანაძე, თ. ელბაქიძე (ყველა — ბათუმი), ზ. ჯურგენიძე (საგარეჯოს რ., სოფ. ჩაილური), ი. ჭაჭაშვილი (აზერბაიჯანის სსრ, სოფ. ალიბეგლო), ზ. ანიკაშვილი (გორი), ბ. ხომერიკი (მახარაძის რ., სოფ. ლიხაური), ე. ჯიჯიაშვილი (გარდაბნის რ., სოფ. შინდისი), ე. კობრეშვილი (თელავის რ., სოფ. ლაფანყური), რ. შარია, თ. აქუბარდია, უ. დგებუაძე (ყველა — ოჩამჩირე), ჯ. დიასამიძე (ბათუმის რ., სოფ. განთიადი), ნ. ტოროტაძე (სიმფეროპოლი), ა. ლოლუა (ზუგდიდი), ნ. წურწუმია (სოხუმი).

**9 ქულა** მ. ანთაძე, გ. გორგიძე, გ. მეხრიშვილი, მ. ზაქარაია, თ. ბუცხრიკიძე, გ. მეტრეველი, გ. ჩეკურიშვილი, ა. ბესიაშვილი, გ. ჭუმბურიძე, ზ. ნერგაძე, რ. მელიქიძე, ტ. მღვდელაძე, თ. გოგიშვილი, ზ. ქუთათელაძე, პ. ქურდობაძე, გ. წილოსანი, გ. ბერუაშვილი, თ. ჩიქვანაია, დ. საბაური, ვ. ქარქუსაშვილი, ნ. მგელაძე, ნ. ნაჭყებია, ვ. ჯორჯაძე, კ. ოდიკაძე, ი. ქიაბრიშვილი, მ. გვაზავა, თ. მაჭარაშვილი, ზ. ქალიაშვილი, თ. შენგელია, დ. ხიდეშელი, ნ. გიგაური, ბ. ასათიანი, ნ. წერეთელი, გ. კვაჭაძე, მ. ცომაია, ნ. ბელქანია, ვ. ჯანჯღავა, ბ. კვირიკაშვილი, მ. გელაშვილი, ი. კაკუბავა, ა. ჯანჯალია, მ. ტაბატაძე, ა. ტყეშელაშვილი, ს. ტონია, რ. მელაძე, ვ. ოსკანოვი, მ. შავდია, თ. ახალაია, ნ. ურიდია, დ. ბარამიძე, ნ. ნაზღაიძე, გ. ნინიძე, თ. ჯანიაშვილი, ა. სიხარულიძე, ე. დგებუაძე, ნ. ასათიანი, ბ. დანელია, კ. სოკოლოვი, ჯ. სანოძე, გ. ედილაშვილი, ს. მჭედლიძე, ზ. სამადალაშვილი, გ. ახალაძე, ჯ. თხელიძე, რ. შავიშვილი, ა. კუხიანიძე, თ. ლოლომაძე, გ. მებონია, რ. მიქაშავიძე, ს. ბახია, პ. თათენაშვილი, ტ. წიკლაური, კ. კობახიძე, ვ. და თ. სვანიძეები, რ. ოდოიძე, გ. კოჭლაშვილი, გ. ფოცხვერაშვილი, რ. კალანდაძე, ბ. ხეცურიანი, გ. მჭედლიშვილი, ს. მუხიგულაშვილი, გ. კაზაროვი, დ. შაქარაშვილი, ჰ. ვარძუკაშვილი, მ. ქიქოძე, გ. შალამბერიძე, შ. ბაზიაშვილი, ო. ქარქაშაძე, მ. გუჯაბიძე, ვ. ცხაკაია, თ. ნარიმანიშვილი, გ. მათიაშვილი, კ. ბეგიაშვილი, უ. ხუნძაძე, ა. გურასაშვილი, მ. კვირიკაშვილი, ი. ხაინდრავა, გ. ტალახაძე, გ. ბესტავაშვილი, ვ. თორთლაძე, გ. კაშია (ყველა — თბილისი), ა. ჯუღელი, გ. ცეცაძე, ი. გედევანიძე, გ. ბიძინაშვილი, თ. გელაშვილი, მ. მარკოსიანი, თ. ჭავჭავაძე, ნ. ოთინაშვილი, რ. ჯანაშვილი (ყველა — რუსთავი), მ. სულაქველიძე, მ. ჯავახაძე, გ. გოგრიჭიანი, ე. ხიშტოვანი, ა. თვალავაძე, ვ. ზენაიშვილი, მ. შალამბერიძე, რ. ჟღენტი (ყველა — ქუთაისი), ჯ. ფირცხალაიშვილი (ლანჩხუთი), ვ. არდაზიშვილი, ლ. გონჯილაშვილი (ორივე — თიანეთი), გ. აბურჯანია, ბ. ბასილაია (ორივე — ფოთი), გ. მელქაძე, ი. გელოვანი (ორივე — სამტრედია), შ. ზუკაკიშვილი (საგარეჯო), ო. რიჟნიკოვი, დ. კევლიშვილი (ორივე — გორი), რ. ჭეიშვილი (მახარაძე), ჯ. გოგია, ნ. მაქაცარია (ორივე — ზუგდიდი), ნ. გაუარაშვილი, ზ. წიკლაური (ორივე — თელავი), ე. ლაზარაშვილი (გორის რ., სოფ. ხიდისთავი), მ. შელეგია (ცხაკაია), ა. დოლიძე (მახარაძის რ., სოფ. თხინვალი), ი. არობელიძე (მახარაძის რ., სოფ. გურიანთა), ა. ოზაშვილი (წითელწყარო), გ. გოგიძე (სოფ. გლდანი), გ. რამიშვილი (დაბა ქარელი), ა. მელაძე (აბაშის რ., სოფ. ეწერი), ა. დარჩია, თ. თხილაიშვილი, ა. დავითაძე, ჯ. ჩარკვიანი (ყველა — ბათუმი), მ. ბიბილაშვილი (გარდაბნის რ., ორხევი), ჯ. ჯაფარიძე, ვ. გამეზარდაშვილი, ს. ხიმშიაშვილი (ყველა — ჭიათურა), გ. მამულაშვილი, ჯ. კეკელია (ორივე — მცხეთა), გ. გუბელაძე (ქობულეთი), შ. ბიბილეიშვილი, გ. ახრახაძე (ორივე — წყალტუბო), ვ. წიქორიძე, ს. ხაჟომია (ორივე — სოხუმი), მ. ქვრივიშვილი (ბორჯომი), ე. გაგნიძე (ვანის რ., სოფ. სალხინო), რ. კუპატაძე (თელავის რ., სოფ. წინანდალი), ჰ. მღებროვი (ლენინგორი), გ. ციკოლია, გ. ცანავა (ორივე — წალენჯიხა), პ. ცაძიკიძე (ახმეტის რ., სოფ. ზემო ალვანი), დ. ლეკიშვილი (გარდაბნის რ., სოფ. მარტყოფი), პ. ფეიქრიშვილი (ადიგენის რ., სოფ. არალი), ქ. მერლანი (მესტია).

## მეორე სერია

1. ვინ აანთო გრენობლის თეთრი ოლიმპიადის ჩირაღდანი და კიბის რამდენი საფეხურის ავლა დასჭირდა მას საამისოდ? რამ განსაზღვრა ამ საფეხურების რაოდენობა?
2. საბჭოთა სპორტსმენებიდან ვინ მოიპოვა ოლიმპიური ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს პირველი მედლები?
3. დაასახელეთ საქართველოს პირველი რეკორდსმენი ქალი და ვაჟი 100 მეტრზე რბენაში. რომელ წელს დამყარდა ეს რეკორდები და რას უდრიდა? რას უდრის ქალთა და ვაჟთა ახლანდელი რესპუბლიკური რეკორდები ზემოაღნიშნულ დისტანციაზე? დაასახელეთ ამ რეკორდების დამყარების წლები და ავტორები.
4. ვინ მოიპოვა საბჭოთა კავშირის № 1 სპორტსმენის სახელი 1965, 1966 და 1967 წლებში?
5. დაასახელეთ საბჭოთა ათლეტები, რომლებიც სათავეში უდგნენ მსოფლიოს საუკეთესო სპორტსმენთა ათეულს. როდის მოხდა ეს და რომელი სახეობის წარმომადგენლები იყვნენ ისინი?
6. დაასახელეთ ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატის (იგულისხმება ფინალური ტურნირები) მატჩი, რომელშიც ყველაზე მეტი გოლი გაიტანეს. რომელ ჩემპიონატში გაიმართა და რა ანგარიშით დამთავრდა იგი? დაასახელეთ, აგრეთვე, სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის (ცხადია, იგულისხმება უმაღლესი ლიგა) ყველაზე უხვგოლიანი მატჩი. რომელ წელს შედგა იგი და რა ანგარიშით დამთავრდა?
7. დაასახელეთ ქართველი სპორტსმენი, რომელიც ყველაზე მეტჯერ იყო სსრ კავშირის ჩემპიონი. რომელ სახეობაში გამოდიოდა იგი და რომელ წლებში იყო ჩემპიონი?
8. გაიხსენეთ შემთხვევა ოლიმპიური თამაშების ისტორიიდან, როცა გამარჯვებულმა ოქროს მედალი უმეტოქეებოდ მოიპოვა. როდის მოხდა ეს და რა პირობებში?
9. რომელ წლებში მიიღო მონაწილეობა თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდმა სსრ კავშირის თასის გათამაშების ფინალურ მატჩში. რომელ გუნდებს შეხვდა და რა შედეგებით დაამთავრა შეხვედრები? ვინ გაიტანა გოლები ამ მატჩებში (როგორც თბილისელთაგან, ისე მოწინააღმდეგეთაგან)?
10. გამოიცანით, ვინ არიან ეს სპორტსმენები? სპორტის რომელ სახეობაში გამოდიოდნენ ისინი და რომელ შეჯიბრებაში მიაღწიეს ყველაზე დიდ წარმატებას?




**მეორე სერიის კითხვებზე პასუხების გამოგზავნის ბოლო ვადაა 19 მაისი** (იგულისხმება საფოსტო განყოფილების შტემპელი).

პასუხები გამოგზავნეთ შემდეგი მისამართით: **თბილისი-8, ლენინის ქ. № 14. „ლელოს“ რედაქცია, „სპორტული უნივერსიტეტი-68“.**

კონკურსის მონაწილეთ ვთხოვთ, პასუხებს სახელსა და გვართან ერთად მიაწერონ თავიანთი მისამართი; კონვერტში ჩადონ ჩვენი გაზეთიდან ამოჭრილი მხოლოდ სპეციალური შესაბამისი „კუპონი 2“, რომელიც კითხვების სერიას ერთვის (წინაალმდეგ შემთხვევაში პასუხები არ იქნება რეგისტრირებული და განხილული). თქვენს წერილებში კითხვების გამეორება არ არის სავალდებულო.

**კუპონი 2**

# დევისის თასზე პირველი წრე დამთავრდა

დევისის თასზე ევროპის ზონის ჩოგბურთელთა პირველი წრის თექვსმეტივე მატჩი დამთავრდა. ყველაზე „ხანგრძლივი“ გამოდგა შვეციისა და რასისტული სამხრეთ როდეზიის ჩოგბურთელთა შეხვედრა. რასიზმის წინააღმდეგ სტუდენტთა მძლავრი დემონსტრაციის შემდეგ ამ ორივე გუნდმა შვეციის ქალაქ ბოსტადიდან საფრანგეთს შეაფარა თავი. ფრანგმა ჟურნალისტებმა ჩოგბურთელები პატარა ქალაქ ბანდოლაში აღმოაჩინეს. შვედებსა და როდეზიელებს იცავდა პოლიციელთა გაძლიერებული რაზმი, ამასთან, მატჩი ჩატარდა უმაყურებლო და კერძო კორტზე. შვედებმა გაიმარჯვეს — 4:1.

დანარჩენ შეხვედრათა შედეგები ასეთია: I ჯგუფი. ესპანეთი — ჰოლანდია 3:2, დიდი ბრიტანეთი — საფრანგეთი 3:0 (მატჩი დაუმთავრებელი დარჩა წვიმის გამო), ფინეთი — პორტუგალია 4:1, სსრ კავშირი — საბერძნეთი 4:1, იუგოსლავია — ახალი ზელანდია 4:0 (უკანასკნელი შეხვედრა არ გაიმართა გუნდების შეთანხმების საფუძველზე), იტალია — უნგრეთი 5:0, მონაკო — ირლანდია 3:2; II ჯგუფი. ბულგარეთი — თურქეთი 5:0, გფრ — შვეიცარია — 4:1, ბელგია — პოლონეთი 3:2, ჩეხოსლოვაკია — ბრაზილია 3:2, ნორვეგია — ლუქსემბურგი 4:1, რუმინეთი — დანია 4:1, ირანი — ისრაელი 5:0, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა — ავსტრია 5:0.

**ჩოგბურთი**

პირველ შეხვედრებში რაიმე განსაკუთრებული სენსაცია არ მომხდარა. აღსანიშნავია მხოლოდ ის, რომ დევისის თასის გათამაშების ორგზის ფინალისტებმა — ესპანელებმა ძალიან ძნელად გაიმარჯვეს ჰოლანდიელებთან. კარგ ფორმაში არიან სსრ კავშირის მომავალი მეტოქეები — იუგოსლაველები ბორა იოვანოვიჩი და ახალგაზრდა ჟელკ ფრანულოვიჩი.

II წრეში გუნდები ასე დაწყვილდნენ: I ჯგუფი. ესპანეთი,—შვეცია, ინგლისი—ფინეთი, სსრ კავშირი — იუგოსლავია, იტალია — მონაკო; II ჯგუფი. ბულგარეთი — გფრ, ბელგია — ჩეხოსლოვაკია, ნორვეგია — რუმინეთი, ირანი — სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა. II წრის მატჩები გაიმართება მაისის მეორე ნახევარში.

სტარტი აიღეს დევისის თასის მრავალგზის მფლობელებმა — ამერიკის შეერთებული შტატების ჩოგბურთელებმაც. მათ ანგარიშით 5:0 დაამარცხეს ბრიტანეთის ვესტ-ინდოეთის გუნდი. აშშ-ს ჩოგბურთელები ამერიკის ზონის ნახევარფინალში შეხვდებიან მექსიკა — კანადის მატჩში გამარჯვებულს.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

## თბილისის სპორტულ ბაზებზე

**ბადმინტონი.** ლენინის სახ. სპორტდარბაზი (კონსტიტუციის ქ. № 6). **9-13 მაისი. თბილისის პირად-გუნდური პირველობა.** დასაწყისი 17 ს.

**ფეხბურთი.** „ლოკომოტივის“ სტადიონი. **სსრ კავშირის პირველობა „ა“ კლასი II ჯგუფი. „ლოკომოტივი“ (თბილისი) — „ფოლადი“ (სუმგაითი). 10 მაისი** — დუბლშემადგენლობანი, **11 მაისი** — ძირითადი შემადგენლობანი. მატჩების დასაწყისი **18 ს.**

**კლასიკური ჭიდაობა.** სპორტის სასახლე. **12 მაისი. საერთაშორისო შეჯიბრება. საქართველო — იუგოსლავია.** დასაწყისი 19 ს.

## უცხოეთის ფეხბურთის ამბები

### 3 მილიონი მაყურებელი

ევროპის ჩემპიონატი ფეხბურთში გულშემატკივართა განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს. საკმარისია აღინიშნოს, რომ მის მატჩებს დღემდე დაესწრო 3 მილიონი მაყურებელი. ყველაზე მეტი მაყურებელი ჰყავდა ინგლის — შოტლანდიის ორ შეხვედრას. გლაზგოში მას ესწრებოდა 134 ათასი კაცი, ხოლო ლონდონში — 100 ათასი.

### მე-18 წამზე...

„ბრეშიას“ თავდამსხმელი მაცია იმით გახდა ცნობილი, რომ იტალიის 1967-68 წლების ჩემპიონატის პირველი გოლი გაიტანა. სტატისტიკოსების ცნობით, ეს მოხდა თამაშის დაწყებიდან მე-18 წამზე. ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ ჩემპიონატის ერთ-ერთ ბოლო მატჩში მაციამ სამწუხარო რეკორდი დაამყარა: იმავე მე-18 წამზე ბურთი გაგზავნა... საკუთარ კარში.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. 8 უე 03281